,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“
ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N01-02/143 ბრძანების

დანართი N1

(კოდიფიცირებული, ცვლილებებით და დამატებით:
ბრძანება N01-02/129, 01.08.2024; ბრძანება N01-02/32, 24.02.2025; N01-02/150, 23.07.2025)

ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს კანონის ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ (შემდეგში - ,,**მობილობის წესი“)** და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე და ადგენს სტუდენტის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - „ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) გადმოსვლის (შემდეგში - **,,გარე მობილობა"),** ასევე ბსუ-ს სტუდენტის მიერ ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შემდეგში - „შიდა მობილობა") რეგულაციას.
2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებად.
3. მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომში – დებულება) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ. **უნივერსიტეტი უფლებამოსილია** მიმართოს სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და,

მასთან შეთანხმებული ფორმით, გამოითხოვოს ინფორმაცია შიდა მობილობის უფლების მქონე პირთა მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის თაობაზე დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილ საგანში/საგნებში, შესაბამისი ქულის მითითებით. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის დაწესებულებისათვის გონივრულ ვადაში წარდგენას.

4. ბსუ-ს სტატუსშეჩერებული სტუდენტის **ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნება** (შემდგომში - „სტატუსის გააქტიურება“/,,აღდგენა“) ბსუ-ში ხორციელდება **შიდა მობილობის** ფარგლებში, წინამდებარე წესის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის" შესაბამისად.
5. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა **(შემდგომში – მართვის სისტემა).**
6. წინამდებარე წესის შესაბამისად ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირება ხორციელდება ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ, ფაკულტეტებთან კოორდინაციით და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით.
7. ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმით, აკრედიტაციის გაუქმებით ან აკრედიტაციის ვადის გასვლით ბსუ-ს მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, ბსუ-ში ჩარიცხულ **პირთა სხვა უსდ-ში რიგგარეშე მობილობისას,** უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების საფუძველზე, გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება **სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ და არაუგვიანეს 5 დღის ვადაში აისახება** უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ხოლო **ამ პირის მომართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა** ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ბსუ-ში ჩაირიცხა და მის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია.

მუხლი 2. ბსუ-ში გადმოსვლა (გარე მობილობა)

1. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

2. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირების მიზნით გამოცემული მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების შესაბამისად, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობა, ფაკულტეტების და პროგრამების მიხედვით.
3. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე **სწავლების ერთი წლის შემდეგ.**
4. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.
5. მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს მობილობის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით. რეგისტრაციის მონაცემები ძალაში შედის მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. ამ საფასურის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტი ვერ მოიპოვებს მობილობის მსურველის სტატუსს.
6. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს ხუთი საგანმანათლებლო პროგრამისა, გარდა სახელოვნებო-შემოქმედებით და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის შემთხვევისა. რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას იგი ვალდებულია განსაზღვროს არჩეული საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობა.
7. თუ ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ ბსუ-ს მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება მხოლოდ **ბსუ-ს მიერ დადგენილი** ჩარიცხვის **წინაპირობების დაცვით.**
8. თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია ორი ან მეტი სტუდენტი, ისინი ჩაირიცხებიან შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ შემთხვევაში, დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება ბსუ-სათვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

9. პირი, რომელმაც გამოთქვა სურვილი ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, **ვალდებულია** შეამოწმოს მობილობის ელექტრონულ პორტალზე მობილობის შედეგი და დადებითი პასუხის შემთხვევაში, **უფლებამოსილია** ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში და წესით წარმოადგინოს **„გარე მობილობის განაცხადი“** ელექტრონულად, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის (portal.bsu.edu.ge) **„გარე მობილობის“** მოდულის საშუალებით.(ცვლილება N01-02/129, 01.08.2024წ.)

10. გარე მობილობის განაცხადთან ერთად გარე მობილობის მსურველმა ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ **ვადაში და წესით უნდა წარმოადგინოს ბსუ-ს** პორტალის „გარე მობილობის“ მოდულის საშუალებით ელექტრონულად (ატვირთოს/მიამაგროს ელექტრონულად), ხოლო ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ - **მატერიალური სახით (**ხელშეკრულების გაფორმებისათვის): (ცვლილება N01-02/129, 01.08.2024წ.)

10.1. ბსუ-ს საბაკალავრო/ერთსაფეხურიანი/საბაკალავრო-სამაგისტრო/სამაგისტრო პროგრამებზე გადმოსვლის მსურველებმა: (ცვლილება N01-02/150, **23.07.2025**)

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებისა და სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

ე) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) 2 ფოტოსურათი ზომით 3X4–ზე (მხოლოდ მატერიალური სახით წარმოსადგენად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში).

10.2. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე გადმოსვლის მსურველებმა: (ცვლილება N01-02/150, **23.07.2025**)

ა) ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე მობილობის მსურველის **სააპლიკაციო განაცხადი,** შევსებული „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის“ თანდართული **ფორმის** (წესის N1 დანართი) შესაბამისად;

ბ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი ზომით 3X4–ზე (მხოლოდ მატერიალური სახით წარმოსადგენად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში);

დ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანებისა და სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

თ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების (კომპონენტების) შესახებ;

ი) **განაცხადი** სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ („ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ **N1 ფორმი**ს შესაბამისად შევსებული და დოქტორანტის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში - სამეცნიერო თანახელმძღვანელის) მიერ ხელმოწერილი ვერსია);

კ) კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა და ხელმძღვანელის თანხმობა (დოქტორანტის მიერ შედგენილი „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ **N2 ფორმი**ს შესაბამისად და დოქტორანტის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში - სამეცნიერო თანახელმძღვანელის) მიერ ხელმოწერილი ვერსია);

ლ) საკვლევი მიმართულების შესაბამისი ნაშრომი/პუბლიკაცია **ან/და** სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის **ან/და** შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ **ორწლიანი** პროფესიული გამოცდილება - ეს ინფორმაცია შეტანილი უნდა იქნეს დოქტორანტის მიერ წარმოსადგენ **ფორმაში** („ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ ფორმა **N2)** და შესაბამისი მტკიცებულებები (გამოქვეყნებული პუბლიკაციის ან/და სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ან/და პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა/ცნობები);

მ) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა.

11. **გარე** მობილობის მსურველი, რომელიც ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს **გარე მობილობის განაცხადს** და შესაბამის დოკუმენტაციას ელექტრონულად, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის - portal.bsu.edu.ge ,,გარე მობილობის" მოდულის საშუალებით და ბსუ-ში გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ ბსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნებისათვის არ წარმოადგენს მატერიალური სახით შესაბამის დოკუმენტაციას, კარგავს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე გარე მობილობით ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. (ცვლილება N01-02/129, 01.08.2024წ.)
12. ბსუ-ს სტუდენტური პორტალის - portal.bsu.edu.ge ,,გარე მობილობის" მოდულის საშუალებით ელექტრონულად წარმოდგენილ გარე მობილობის განცხადებებზე და თანდართულ დოკუმენტებზე დაშვება აქვს (ხელმისაწვდომია) ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტისა და შესაბამისი ფაკულტეტისათვის. განაცხადის და დოკუმენტაციის სისრულის/**ტექნიკურ გადამოწმებას და დადასტურებას - ახორციელებს** სასწავლო პროცესის დეპარტამენტის შესაბამისი დასაქმებული/პასუხიმგებელი პირი, რომელიც განისაზღვრება დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით. (ცვლილება N01-02/129, 01.08.2024წ.)
13. მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით ფაკულტეტი უფლებამოსილია ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვროს პროგრამაზე მიღების წინაპირობა ან/და მობილობის მსურველს ჩაუტაროს გასაუბრება/გამოცდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი სემესტრისათვის მობილობის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემამდე.
14. გარე მობილობის ფარგლებში ამ მუხლის მე-9-მე-13 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირების განცხადებებს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტი, რომელიც ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს გარე მობილობის მსურველის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობისა და კრედიტების აღიარების დასკვნას, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის" მოთხოვნათა დაცვით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით მომზადებული კრედიტების

აღიარების დასკვნის ელექტრონული ვერსია (ხელმოწერილი და სკანირებული) აიტვირთება ბსუ-ს პორტალის „გარე მობილობის“ მოდულის შესაბამის ველში, რომელსაც ადასტურებს ფაკულტეტის დეკანი და ხელმისაწვდომი ხდება გასაცნობად გარე მობილობის მსურველისათვის, პორტალის იმავე მოდულის მეშვეობით. (ცვლილება N01-02/129, 01.08.2024წ.)

15. გარე მობილობის მსურველმა, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ მომზადებული კრედიტების აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში და წესით, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის **გარე** <u>მობილობის მოდულის</u> საშუალებით ელექტრონულად უნდა დააფიქსიროს **თანხმობა ან უარყოფა** კრედიტების აღიარების დასკვნაზე.(ცვლილება N01-02/129, 01.08.2024წ.)

16. ბსუ-ში გარე მობილობის პროცესის ადმინისტრირების მიზნით სასწავლო პროცესის დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგ აქტივობებს: (ცვლილება N01-02/129, 01.08.2024წ.)

ა) გარე მობილობის განაცხადის და დოკუმენტაციის სისრულის/ტექნიკურ გადამოწმებას და დადასტურებას, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;

ბ) **ელექტრონულ ადმინისტრირებას** უწევს კრედიტების აღიარების დასკვნების გარე მობილობის მსურველთათვის გაცნობის და კრედიტების აღიარების დასკვნაზე მათ ელექტრონულ თანხმობის/უარყოფის ასახვას (უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ფორმატით/წესით);

გ) შესაბამის ფაკულტეტთან კოორდინირებულად უზრუნველყოფს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში ხელშეკრულებების გაფორმებას გარე მობილობის მსურველებთან, რომლებიც ბსუ-ს სტუდენტურ პორტალზე ,,გარე მობილობის“ მოდულის მეშვეობით კრედიტების აღიარების დასკვნაზე დადგენილ ვადაში ელექტრონულად დააფიქსირებს თანხმობას და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში წარმოადგენენ **მატერიალური სახით**, წინამდებარე წესით განსაზღვრულ, კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ დოკუმენტაციას;

დ) ორგანიზებას უწევს მობილობის წესით სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის მომზადებას, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მე-3 მუხლის შესაბამისად;

ე) უზრუნველყოფს გარე **მობილობაში მონაწილის** შესახებ ელექტრონული ინფორმაციის (ე.წ. ,,ისტორია“, სტუდენტის თანხმობა/უარი კრედიტების აღიარების დასკვნაზე, მობილობის ველში რეგისტრაციიდან შედეგების ჩათვლით) ბსუ-ს პორტალის **,,გარე მობილობის“ მოდულიდან ამოღებას (ბეჭდვა)** და გარე მობილობის ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტის პირად საქმეში განთავსებისათვის ბსუ-ს შესაბამისი

ფაკულტეტისათვის მიწოდებას, ხოლო სხვა პირების ინფორმაციას, ვინც უარი განაცხადა კრედიტების აღიარების დასკვნაზე/ვერ მოიპოვა ბსუ-ში ჩარიცხვის უფლება - ინახავს არაუმეტეს 1 წლის ვადით (ამ აქტივობის შესრულების შემდეგ სასწავლო პროცესის დეპარტამენტი წარუდგენს შემაჯამებელ სამსახურებრივ ბარათს ბსუ-ს რექტორს). (ცვლილება N01-02/129, 01.08.2024წ.)

მუხლი 3. გარე მობილობის შედეგად ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და გამოცემა

1. სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, ორგანიზებას უწევს მობილობის წესით სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის მომზადებას.
2. სასწავლო პროცესის დეპარტამენტი უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რის შემდეგაც მართვის სისტემა ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას ამ წესის მოთხოვნებთან, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს ელექტრონულ დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. მართვის სისტემა უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაციაც.
3. მობილობის წესით სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტზე მართვის სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ (1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში) და გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 4. შიდა მობილობა ბსუ-ში

1. ბსუ-ში შიდა მობილობა წელიწადში ორჯერ ცხადდება, **სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისათვის.** ბსუ-ში შესაძლებელია გამოცხადდეს **რიგგარეშე შიდა მობილობა,** ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის **ან** აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში **ან** ბსუ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში.

2. შიდა მობილობის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტს (მათ შორის ბსუ-ს სტატუსშეჩერებულ პირს) საშუალება აქვს გადავიდეს ბსუ-ს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (იმავე ან ბსუ-ს სხვა ფაკულტეტზე).
3. **შიდა მობილობაში მონაწილეობის** უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების **ერთი სემესტრის** შემდეგ, **გარდა რიგგარეშე შიდა მობილობაში მონაწილე სტუდენტებისა.** სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
4. **შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება ეზღუდება** დამატებითი სასწავლო წლის/სემესტრის სტუდენტს, რომელმაც სწავლების ძირითად ვადებში ვერ შეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, გარდა რიგგარეშე შიდა მობილობაში მონაწილე სტუდენტებისა.
5. ბსუ-ში შიდა მობილობის/აღდგენის მსურველი/სტატუსშეჩერებული სტუდენტი ვალდებულია რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში და წესით წარმოადგინოს შიდა მობილობის განაცხადი ელექტრონულად, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის - portal.bsu.edu.ge ,,შიდა მობილობის“ მოდულის საშუალებით. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 საგანმანათლებლო პროგრამისა და განსაზღვროს არჩეული საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობა (რიგითობის შესაბამისად).
6. შიდა მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით შესაბამისი ფაკულტეტი უფლებამოსილია ფაკულტეტის საბჭოს გადაწვეტილებით განსაზღვროს პროგრამაზე მიღების წინაპირობა.
7. **შიდა მობილობის/აღდგენის მსურველი სტუდენტი/სტატუსშეჩერებული სტუდენტის:**

   ა) ელექტრონული განაცხადის ტექნიკურ გადამოწმებას და დადასტურებას ახდენს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის შესაბამისი პასუხიმგებელი პირი;

   ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების შედეგების შეთავაზებულ პროგრამასთან თავსებადობას ამოწმებს და ადასტურებს ფაკულეტის დეკანი ან დეკანის ბრძანებით განსაზღვრული პასუხიმგებელი პირი;

   გ) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ წინაპირობებთან თავსებადობას ამოწმებს და ადასტურებს ფაკულეტის დეკანი ან დეკანის ბრძანებით განსაზღვრული პასუხიმგებელი პირი;
8. თუკი შიდა მობილობის (პროგრამის შეცვლის) მსურველთა განცხადებების რაოდენობა, რომლებიც აკმაყოფილებენ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აღემატება პროგრამაზე შიდა მობილობით მისაღები

ვაკანტური ადგილების რაოდენობას, მაშინ შიდა მობილობით შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს სტუდენტი საკონკურსო ქულის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს (გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული პირების შემთხვევისა), ისე ბსუ-ში სწავლის პერიოდში მიღებულ შეფასებებს. საკონკურსო ქულა გამოითვლება შემდეგნაირად:

ა) კონკურსანტთა ეროვნული გამოცდების შედეგების სკალირება მოხდება 100-ქულიან შკალაზე, კერძოდ, კონკურსანტთა შორის მინიმალურ შედეგს მიენიჭება ერთი, ხოლო მაქსიმალურ შედეგს - 100 ქულა;

ბ) კონკურსანტის მიერ ბსუ-ში მიღებული საშუალო შეწონილი ქულის სკალირება მოხდება 100-ქულიან შკალაზე, კერძოდ, კონკურსანტთა შორის მინიმალურ შედეგს მიენიჭება ერთი, ხოლო მაქსიმალურ შედეგს - 100 ქულა;

გ) ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული პირის საკონკურსო ქულას წარმოადგენს წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გამოთვლილი ქულების საშუალო არითმეტიკული;

დ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული პირის საკონკურსო ქულას წარმოადგენს წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გამოთვლილი ქულა.

9. თანაბარი ქულების მქონე სტუდენტების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილ ქულას.

10. შიდა მობილობის ფარგლებში ამ მუხლის მე-7 და მე-8 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირების განცხადებებს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტი, რომელიც ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს შიდა მობილობის მსურველის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობისა და კრედიტების აღიარების დასკვნას, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული <u>„კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის“</u> მოთხოვნათა დაცვით.

11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით მომზადებული კრედიტების აღიარების დასკვნის ელექტრონული ვერსია (ხელმოწერილი და სკანირებული) აიტვირთება ბსუ-ს პორტალის „შიდა მობილობის“ მოდულის შესაბამის ველში, რომელსაც ადასტურებს ფაკულტეტის დეკანი.

12. შიდა მობილობის (პროგრამის შეცვლის/სასწავლო პროცესში დაბრუნების/სტატუსის გააქტიურების) მსურველმა ბსუ-ს სტუდენტმა/სტატუსშეჩერებულმა სტუდენტმა, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ მომზადებული კრედიტების აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში და წესით, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის **შიდა** მობილობის მოდულის საშუალებით უნდა დააფიქსიროს ელექტრონულად **თანხმობა ან უარყოფა** კრედიტების აღიარების დასკვნაზე.
13. ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი **ელექტრონულ ადმინისტრირებას** უწევს კრედიტების აღიარების დასკვნების შიდა მობილობის (პროგრამის შეცვლის/სასწავლო პროცესში დაბრუნების/სტატუსის გააქტიურების) მსურველთათვის გაცნობის და კრედიტების აღიარების დასკვნაზე მათ ელექტრონულ თანხმობის/უარყოფის ასახვას (უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ფორმატით/წესით).
14. შიდა მობილობის (პროგრამის შეცვლის) მსურველი მოიპოვებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლებას, მის მიერ ბსუ-ს სტუდენტურ პორტალზე ,,შიდა მობილობის“ მოდულის მეშვეობით რეგისტრირებული (არჩეული) პრიორიტეტული პროგრამის მიხედვით, თუკი კრედიტების აღიარების დასკვნაზე სტუდენტი დადგენილ ვადაში ელექტრონულად დააფიქსირებს თანხმობას.
15. სასწავლო პროცესის დეპარტამენტი უზრუნველყოფს ბსუ-ში შიდა მობილობაში მონაწილე თითოეული სტუდენტის შესახებ ელექტრონული ინფორმაციის (ე.წ. ,,ისტორია“, მობილობის ველში რეგისტრაციიდან შედეგების ჩათვლით) ბსუ-ს პორტალის ,,შიდა მობილობის“ მოდულიდან ამოღებას (ბეჭდვა) და სტუდენტის პირად საქმეში განთავსებისათვის შესაბამისი ფაკულტეტისათვის მიწოდებას.

მუხლი 5. შიდა მობილობის შედეგად ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და გამოცემა

1. შიდა მობილობის განაცხადის განხილვის პროცესში ჩართული ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულები (პერსონალი) უფლებამოსილნი არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაამუშაონ მობილობის მსურველთა პერსონალური ინფორმაცია იმ მოცულობით და ფარგლებში, რაც საჭიროა სტუდენტის მობილობის განაცხადის განხილვისათვის (პირად საქმეში, ბსუ-ს პორტალზე და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შესახებ, ჩარიცხვის/შეჩერების შეწყვეტის/მობილობის სამართლებრივი აქტები, სტუდენტის თანხმობა/უარყოფის განცხადებები; სასწავლო ბარათი; პირადი მონაცემები).

2. ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, შესაბამის ფაკულტეტთან კოორდინირებულად, რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში, უზრუნველყოფს შიდა მობილობის ფარგლებში პროგრამის შეცვლის მსურველებთან ხელშეკრულებების გაფორმებას.
3. სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, ორგანიზებას უწევს შიდა მობილობის წესით სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის მომზადებას.
4. სწავლის საფასურის დავალიანების მქონე პირის შიდა მობილობის (მათ შორის რიგგარეშე შიდა მობილობის) შედეგად შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვა (საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან იმავე საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესში დაბრუნება/სტუდენტის სტატუსის გააქტიურება) შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტის ელექტრონული განაცხადის ტექნიკურ გადამოწმებამდე (დადასტურებამდე) დაფარული იქნება სტუდენტის სწავლის საფასურის დავალიანება (აღნიშნულ ინფორმაციას შესაბამის სისტემაში ასახავს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი/საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესის დეპარტამენტი გამოითხოვს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტიდან). აღნიშნული წესისაგან გამონაკლისი (სწავლის საფასურის დავალიანების გადახდის გადავადება) შეიძლება დაიშვას მხოლოდ რიგგარეშე მობილობის დროს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით (ან/და წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილებით). (ცვლილება N01-02/129, 01.08.2024; N01-02/32, 24.02.2025)

„ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის“

N1 დანართი

(დაემატა N01-02/150, **23.07.2025**)

ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე გადმოსვლის (**მობილობის) მსურველის**

სააპლიკაციო განაცხადი

ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე
„----------“
გადმოსვლის (მობილობის) თაობაზე

სახელი	
გვარი	
პირადი ნომერი	
მოქალაქეობა	
ფაქტობრივი მისამართი	
რეგისტრაციის მისამართი	
ელფოსტა	
ტელ. ნომერი (მობილური)	
მიღებული განათლება (დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე)	სწავლის პერიოდი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: მინიჭებული აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია):
უცხო ენის ფლობა **(შენიშვნა: დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება** <u>ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე</u> **ან** სხვა, დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და <u>ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე;</u> იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა;	<u>ინგლისური ენის ცოდნის დონე:</u> ○ <u>B1</u> ○ <u>B2</u> ○ <u>C1</u> ○ <u>C2</u> ○ <u>სხვა:</u> <u>დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ენის ცოდნის დონე:</u> ○ <u>B1</u> ○ <u>B2</u> ○ <u>C1</u> ○ <u>C2</u> ○ <u>სხვა:</u>
სადოქტორო პროგრამის დასახელება, სადაც ამჟამად სწავლობს მობილობის მსურველი დოქტორანტი (საიდანაც გადმოსვლის სურვილი აქვს)	
სადოქტორო პროგრამაზე **ათვისებული კომპონენტები:** 1. **სასწავლო კომპონენტი ----** 2. **კვლევითი კომპონენტი** (სადისერტაციო ნაშრომის/კვლევითი პროექტის	1.. 2..

დასახელება, რომელზეც მუშაობდა/მუშაობს დოქტორანტი და განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი (სემინარი, პროექტი, კოლოკვიუმი, სამეცნიერო პროექტი ან სხვა)	
ბსუ-ს სადოქტორო პროგრამის დასახელება, რომელზეც სწავლის გაგრძელება (მობილობა) სურს აპლიკანტს	ბსუ-ს „----------„ სადოქტორო პროგრამა
ბსუ-ს სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) კვლევითი პროექტის **თემის დასახელება** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად)	„----------“
ბსუ-ში სავარაუდო **სამეცნიერო ხელმძღვანელის** **სახელი, გვარი,** თანამდებობა (რომლის <u>თანხმობა მოპოვებულია)</u> **ბსუ-ში** სავარაუდო **სამეცნიერო** **თანახელმძღვანელის** (არსებობის შემთხვევაში) <u>სახელი, გვარი, თანამდებობა</u> (რომლის თანხმობა მოპოვებულია)	**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** სახელი: გვარი: თანამდებობა: ---------- **სამეცნიერო თანახელმძღვანელი:** სახელი: გვარი: თანამდებობა:
ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების თანდართული **N1 ფორმის** შესაბამისად შევსებული ,,<u>სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ განაცხადის“</u> <u> </u>წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია	○ დიახ (თან ერთვის სააპლიკაციო განაცხადს) ○ არა (განმარტეთ მიზეზი) -----
ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების თანდართული **N2 ფორმის** შესაბამისად შევსებული ,,კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა და ხელმძღვანელის თანხმობის“ <u>წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია</u>	○ დიახ (თან ერთვის სააპლიკაციო განაცხადს) ○ არა (განმარტეთ მიზეზი) -----
სხვა ინფორმაცია, მობილობის მსურველის შეხედულებით	

ვადასტურებ წინამდებარე **სააპლიკაციო განაცხადში** მითითებული ინფორმაციის სისწორეს და **წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობას**	**აპლიკანტის სახელი და გვარი** (სრულად) --- ---------- **ხელმოწერა:** ----------
აპლიკაციის შევსების და წარმოდგენის **თარიღი**	-------